პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 28 მარტი, 1942 წ. № 74 (6390). ფასი 15 კაპ.

ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და აღზრდა კოლმეურნეობებში

კადრები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — სწყვეტენ ყველაფერს. დიდია მათი როლი საკოლმეურნეო სოფელში. კოლმეურნეობანი, რომლებსაც სათავეში უდგანან ნამდვილი ბოლშევიკები, პარტიულნი და არაპარტიულნი, სამეურნეო მშენებლობის სასწაულებს გვიჩვენებენ. ისინი იფურჩქნებიან და წლითი-წლობით ამრავლებენ თავიანთ წარმატებებს. ბოლშევიკური პარტია მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდა და ახლაც აქცევს კოლმეურნეობებში ასეთი კადრების შექმნასა და აღზრდას.

კოლმეურნეობა დიდი სოციალისტური მეურნეობაა. ასეთი მეურნეობის ხელმძღვანელობა დიდი და სერიოზული საქმეა. ბევრი რამ მოეთხოვება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. იგი უნდა იყოს საზოგადოებრივი მეურნეობის ნამდვილი ორგანიზატორი, ინიციატივიანი ადამიანი, რომელსაც შესწევს იმის უნარი, რომ რაც შეიძლება გონივრულად გაანაწილოს ადამიანები, მთლიანად გამოიყენოს არტელის საწარმოო შესაძლებლობანი, რეზერვები. კარგმა, გამოცდილმა თავმჯდომარემ იცის, თუ რა ნიჭის პატრონია თითოეული კოლმეურნე, თუ ვის რა სამუშაო შეიძლება მიენდოს, რომ ადამიანმა უკეთესად და უფრო სწრაფად გამოიჩინოს თავი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოწინავე კოლმეურნეობათა წარმატება მეტწილად იმით აიხსნება, რომ მათი ხელმძღვანელები მუშაობაში აბამენ ყველა კოლმეურნეს და ეყრდნობიან აქტივს, სოფლის მოწინავე ადამიანებს. თავმჯდომარე მათთან ერთად უნერგავს კოლმეურნეებს მათი მუშაობისათვის, არტელის მთელი საქმეების მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, განამტკიცებს შრომის დისციპლინას.

დიდმა სამამულო ომმა ახალი მოთხოვნები წაუყენა კოლმეურნეობებს, და უწინარეს ყოვლისა მათს ხელმძღვანელებს. ახლანდელ ამოცანებს ძველი საზომით ვერ მიუდგები. ნაკლები ძალებითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უნდა დავამზადოთ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული. გაცილებით უკეთ უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე მშვიდობიანობის დროს ვმუშაობდით. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნისა და ფრონტის ინტერესები და საჭიროება, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განადგურების ამოცანა, რაც წმინდა ამოცანაა ყოველი საბჭოთა პატრიოტისათვის.

ახლა, ომის პირობებში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევასა და აღზრდას. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და ბრიგადირების მნიშვნელოვანი ნაწილი გაწვეულია წითელ არმიაში. მათს შესაცვლელად ახალი მუშაკები მოდიან. კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე მოვიდნენ ქალები.

კადრების ნაკლებობაზე ჩივილი შეუძლიათ მხოლოდ ბეც ხელმძღვანელებს — იმათ, ვინც ვერა ხედავს, თუ როგორ გაიზარდნენ ადამიანები სოფლად, თუ რა დიდი რეზერვები მოიპოვება კოლმეურნეობებში დასაწინაურებლად, განსაკუთრებით ქალთა წრიდან, რომლებიც გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ საკოლმეურნეო სოფელში.

კოლმეურნეობებში ბევრია პატიოსანი და ნიჭიერი მუშაკი, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად შესცვალონ წითელ არმიაში გაწვეულნი, შეუძლიათ გახდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელების, ბრიგადებისა და მეცხოველეობის ფერმების ნამდვილი ხელმძღვანელები. საჭიროა მხოლოდ მათი უნარიანად შერჩევა. ამ მხრივ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და მტს-ების პოლიტგანყოფილებანი მოვალენი არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებს.

პარტიის რაიკომი, საოლქო კომიტეტი და მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი არ შეიძლება განზე გაუდგნენ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევის საქმეს. კოლმეურნეობათა წარმატებანი, უწინარეს ყოვლისა საგაზაფხულო თესვაში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნება განმტკიცებული კოლმეურნეობათა გამგეობებისა და ბრიგადების ხელმძღვანელობა. ვისაც ეს არ ესმის, ვინც კოლმეურნეობათა კადრების შერჩევის საქმეში ჩაურევლობის პოზიციას ადგია, — ის სერიოზულ შეცდომას სჩადის, ვინაიდან ასუსტებს ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებში და ამით ზიანს აყენებს საზოგადოებრივ საარტელო წარმოებას.

ასეთი შეცდომა ჩაიდინეს, მაგალითად, კიროვის ოლქში. აქ პარტიულმა ორგანიზაციებმა თავი აარიდეს კოლმეურნეობებში კადრების შერჩევასა და აღზრდას. ამის შედეგად მთელ რიგ კოლმეურნეობებში თავმჯდომარეებად და ბრიგადირებად არმიაში წასულთა ნაცვლად წამოყენებულ იქნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ უზრუნველჰყოფენ ხელმძღვანელობას და არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. ამან გამოიწვია სერიოზული ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობაში — მნიშვნელოვანი დანაკარგი პურის აღების დროს, გალეწვის გაჭიანურება, ის, რომ ბევრმა კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა. ამან გავლენა მოახდინა საგაზაფხულო თესვისათვის ოლქის კოლმეურნეობათა მომზადებაზეც.

ცალკეული ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის უვარგისმა პრაქტიკამ ის გამოიწვია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და ბრიგადირების პოსტებზე გაძვრნენ თაღლითები, წამგლეჯები, ყოფილი კულაკები. ჯერ კიდევ არის ისეთი რაიონები, სადაც თავმჯდომარეებს, რომლებმაც ერთს კოლმეურნეობაში მუშაობა ჩაშალეს, იმავე პოსტზე გზავნიან სხვა კოლმეურნეობებში. საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ამ უვარგის პრაქტიკას! პარტიის საოლქო და სარაიონო კომიტეტები, აგრეთვე მტს-ების პოლიტგანყოფილებანი მოვალენი არიან ხელმძღვანელობის განმტკიცების მხრივ დახმარება გაუწიონ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ ამას. **უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ხელმძღვანელ საკოლმეურნეო სამუშაოზე ქალები.**

საარტელო წარმოებაში სერიოზულ როლს ასრულებს კოლმეურნეობის მოანგარიშე. კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვას, განუყოფელი და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, მასალების, პროდუქტების, ფულადი სახსრებისა და სხვ. აღრიცხვას — ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. კოლმეურნეობებში საანგარიშო დარგის მუშაობა მინდობილი უნდა ჰქონდეთ გამოცდილ, პატიოსან ადამიანებს. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მტს-ების პოლიტგანყოფილებანი მოვალენი არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებს იმაში, რომ შეარჩიონ ასეთი ადამიანები. ასწავლონ მათ საანგარიშო დარგში მუშაობა, სანიმუშოდ დააყენონ აღრიცხვა, ანგარიშგება.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და მტს-თა პოლიტგანყოფილებების უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიონ საკოლმეურნეო კადრებს, დაეხმარონ მათ, აღზარდონ ისინი. ახალგაზრდა მუშაკები დიდ ყურადღებას მოითხოვენ. უნდა მოთმინებით ვასწავლოთ მათ, თუ როგორ გაუძღვნენ საზოგადოებრივ მეურნეობას, თუ როგორ მოაწყონ შრომა უკეთესად, რათა თითოეული შრომისუნარიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს საკოლმეურნეო მუშაობაში. ვასწავლოთ არა მშრალი, დეკლარატიული რეზოლუციებით, როგორც ეს ზოგიერთ რაიონში ხდება, არამედ კონკრეტულად, ისე, რომ ანალიზი გავუკეთოთ ამა თუ იმ მეურნეობის ნაკლოვანებათა მიზეზებს, დავეხმაროთ თავმჯდომარეებს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, ხოლო რაც მთავარია — მათს თავიდან აცილებაში.

კადრების აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე კოლმეურნეობებისა და ბრიგადების თავმჯდომარეთა და ბრიგადირთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების კარგად მოწყობას.

თუ რა სასიკეთო გავლენას ახდენს კოლმეურნეობებზე კადრებთან ცოცხალი მუშაობა, ამას გვიჩვენებს ვორონეჟის ოლქის ბობროვის მტს-ის პოლიტგანყოფილების გამოცდილება. ამ პოლიტგანყოფილების მუშაკები დიდ დროს უთმობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ბრიგადირებსა და რგოლის ხელმძღვანელებს. პოლიტგანყოფილების მუშაკები კოლმეურნეობათა ეკონომიკას სწავლობენ. მათ თითქმის ყველა კოლმეურნეობა დაათვალიერეს, გაეცნენ კადრებს და ადგილობრივ უწევენ მათ დახმარებას. ბევრმა კოლმეურნეობამ, რომლებსაც მომსახურებას უწევს ბობროვის მტს-ი, ომიანობის დროის ერთგვარი სიძნელენი გადალახა და წარმატებით ემზადება თესვისათვის. კოლმეურნეები ამთავრებენ უკანასკნელ სამზადისს მინდორში გასასვლელად.

რაც უფრო ფართო იქნება ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების პოლიტიკური ჰორიზონტი, რაც უფრო გარკვევით დაინახავენ და გაიგებენ ისინი თავიანთი მუშაობის, თავიანთი არტელის კავშირს საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანებთან, მით უფრო კარგად წავა საქმე კოლმეურნეობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა და პოლიტგანყოფილებებმა საკოლმეურნეო კადრები უნდა აღზარდონ თავიანთი მოვალეობისადმი პატიოსანი და შეგნებული დამოკიდებულების, საზოგადოებრივი საკოლმეურნეო ფონდების შენარჩუნებისა და შემდგომი ზრდის, სახელმწიფო ვალდებულებათა თავის დროზე შესრულების, კოლმეურნეობებში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების სულისკვეთებით.

უსასტიკესად დავიცვათ ყოველ კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი — სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. ეს კოლმეურნეობათა მუშაობის საფუძველთა საფუძველია.

კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა გასულ წელს კარგად იმუშავეს. 1942 წელს სამშობლო ელის, რომ ისინი კიდევ უფრო მეტ წვლილს შეიტანენ თავიანთი სამშობლოს თავდაცვისა და ფაშისტი დამპყრობლების განადგურების საქმეში. საკოლმეურნეო კადრები, რომლებსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს და ზრდის, ყოველივე ღონეს იხმარებენ, რათა მიიღონ მაღალი მოსავალი და ამით გააძლიერონ თავიანთი დახმარება ფრონტისადმი.

„პრავდის" მოწინავე, 27/III.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 მარტის დილის ცნობა

26 მარტის ღამის განმავლობაში ფრონტზე რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილები, რომლებიც კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, მტერთან შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან. 25 მარტის განმავლობაში მათ 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს და 4 ტანკი მოსპეს. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე მტერმა, რომელიც ჩვენი ჯარების იერიშის შედეგად უკან იხევს, ბრძოლის ველზე 450 მოკლული ჯარისკაცი და 6 დაზიანებული ტანკი დასტოვა.

* * *

ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა დასახლებული პუნქტიდან განდევნა გერმანელები, მოსპო მტრის 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო 9 ტყვიამფრქვევი, 11 ავტომატი, 35 შაშხანა, 35 ათასი ვაზნა. 22 პარაშუტი და სხვა საჭურველი.

* * *

4 მზვერავ წითელარმიელს, რომლებიც ლეიტენანტ რიზატენკოს მეთაურობით მოქმედებდნენ მტრის ზურგში, თავს დაესხა 15 ჰიტლერელი. ჩვენმა მზვერავებმა მოსპეს 13 გერმანელი, ხელთ იგდეს დავლა და უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც კალინინის ოლქში მოქმედებს გერმანიის ჯარების ზურგში, გაანადგურა გერმანელთა სამარი მასალის ალალი, რომელიც 200 საზიდრისაგან შესდგებოდა. ბრძოლაში მოსპობილია 100 ჰიტლერელი.

* * *

რუმინეთის მე-18 ქვეითი დივიზიის 92-ე პოლკის მე-2 ბატალიონის ტყვე ჯარისკაცმა ოპრიშა დუმიტრემ განაცხადა: „მე ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია, ვინაიდან მუდამ თავდაცვის მეორე ხაზზე ვიმყოფებოდი. 27 თებერვალს დილით ჩვენ ვიპოვნეთ საბჭოთა ფურცლები, რომლებიც ღამით ჩამოყარათ თვითმფრინავებიდან. მე ერთი ფურცელი ავიღე და სერჟანტ მოგორანს გადავეცი. მან მე-3 ათეულის 8 ჯარისკაცს დაუძახა და ეს ფურცელი ხმამაღლა წაუკითხა. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ. ბატალიონში პანიკა შეიქნა. ყველაზე უწინ ოფიცრები გაიქცნენ, შემდეგ კი მათ ჯარისკაცთა ნაწილიც მიჰყვა. 200-მდე ჩვენი ჯარისკაცი წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა ტყვედ".

* * *

სტალინოს ოლქის სოფელ ზაკატნოეს კოლმეურნეებმა შეადგინეს აქტი გერმანელ ოკუპანტთა მიერ ჩადენილი მხეცობისა და ძარცვა-გლეჯის შესახებ. აქტში ნათქვამია, რომ „გერმანელმა ბანდიტებმა გაანადგურეს სოფელი, უმაგალითოდ გასძარცვეს და სასტიკად იძიეს შური მშვიდობიან მოსახლეობაზე, დასწვეს 173 სახლი, გარეკეს 243 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 160 ღორი, 1.550 ქათამი, ბატი და იხვი, მოსახლეობას წაართვეს მთელი თბილი ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საოჯახო ნივთები და პროდუქტები. გერმანელებმა მოჰკლეს 63 წლის მოხუცი ე. დ. სარეევსკი, 18 წლის ი. ი. კუპიანსკი, 65 წლის ს. ა. ბონდარი, 37 წლის პ. ხ. ზახარენკო, 42 წლის ი. გ. ზოზულია, 55 წლის ლ. ს. ზიმა".

* * *

რუმინეთის ქალაქი ტირგუ-ჟიუ გერმანელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჭრილ თავიანთ ჯარისკაცთა ჰოსპიტლად გადააქციეს. გერმანელებმა ქალაქში დახურეს გიმნაზიები, ლიცეი, კომერციული სკოლა და მასწავლებელთა სკოლა, ამასთან რეკვიზიცია უყვეს ყველა დიდ სახლს. ყველა ამ შენობაში ლაზარეთები გახსნეს. ქალაქის მოსახლეობა ჰიტლერელებისადმი მტრულად არის განწყობილი. ამას წინათ გამოჯანმრთელებულ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფმა ბაზარში ჩხუბი აუტეხა რუმინელ გლეხებს. მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომლის დროსაც ხალხმა ცულებითა და კეტებით მოჰკლა 11 გერმანელი, აგრეთვე 2 პოლიციელი, რომლებიც წესრიგის აღდგენას ცდილობდნენ.

* * *

სტალინგრადის ოლქის ახალგაზრდობამ მოაწყო კვირაობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ათასზე მეტმა კაცმა. კვირაობის დროს შეგროვილია 1.713 ტონა შავი ლითონის ჯართი და 53 ტონა ფერადი ლითონი.

27 მარტის საღამოს ცნობა

27 მარტის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

26 მარტის განმავლობაში მოსპობილია მტრის 15 თვითმფრინავი. ჩვენ 9 თვითმფრინავი დავკარგეთ.

27 მარტის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის 2 თვითმფრინავი.

* * *

26 მარტის განმავლობაში ჩვენმა ავიანაწილებმა მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 6 ტანკი, 60 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, სამარი მასალით დატვირთული 50-ზე მეტი საზიდარი, 4 ავტოცისტერნი და 4 სარკინიგზო ცისტერნი საწვავიანად, საველე და საზენიტო არტილერიის 28 ქვემეხი, 13 ნაღმსატყორცნი, 13 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი და დაამსხვრიეს რკინიგზის ეშელონი ტანკებიანად და არტილერიანად.

* * *

უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა მტერთან. ჰიტლერელთა სარდლობამ რეზერვები მოიშველია და სცადა იერიში მოეტანა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც სოლივით შეიჭრნენ მტრის თავდაცვაში. ამ მიზნით მან ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ გამოიყვანა ესესელთა დივიზია „რაიხი", მე-14 მოტორიზებული დივიზიის მე-11 მოტოპოლკი, 206-ე დივიზიის 312-ე პოლკი და 50 ტანკი. გააფთრებული ბრძოლის შედეგად გერმანელებს 2.450 ჯარისკაცი და ოფიცერი მოუკლეს და ბევრი დაუჭრეს. ტყვეების სიტყვით, ესესელთა პოლკმა „დოიჩლანდმა", რომელიც „რაიხის" დივიზიის შემადგენლობაში შედის, 1.400 ჯარისკაციდან და ოფიცრიდან 900 კაცი დაჰკარგა. ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 25 ტანკი, მრავალი ტყვიამფრქვევი, ავტომატი, შაშხანა, სხვა საჭურველი და სამხედრო ქონება.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა 24 ტანკი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს ქვეითს ნაწილებზე. მტრის მანქანების შესახვედრად გავიდა 7 საბჭოთა ტანკი. ჩვენმა ტანკისტებმა მოსპეს გერმანელთა 7 საშუალო ტანკი, ერთი მსუბუქი ტანკი და ჩააჩუმეს 4 საცეცხლე წერტი. მტერმა 100-ზე მეტი კაცი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილმა, რომელსაც ამხ. ბობროვი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), მტერთან ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში მოსპო გერმანელთა 7 საცეცხლე წერტი და 120-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

წითელარმიელი სტუპიშინი, რომელიც მტრის ზურგიდან ბრუნდებოდა წარმატებით ჩატარებული დაზვერვის შემდეგ, გერმანელთა მიერ დაკავებული სოფლის განაპირა უბანში გამოვიდა. ამხ. სტუპიშინმა გამოარკვია, რომ მცხოვრებთა მიერ მიტოვებულ ერთ-ერთ სახლში გერმანელ ოფიცერთა ჯგუფი დაბინავდა; იგი ამ სახლს მიეპარა და ცეცხლი წაუკიდა. როდესაც თავზარდაცემული გერმანელები ცეცხლმოკიდებული სახლიდან გარეთ გამოცვივდნენ, ამხ. სტუპიშინმა გრანატები დააყარა მათ. დაიღუპა 25-მდე გერმანელი ოფიცერი.

* * *

ლენინგრადელ პარტიზანთა ორმა რაზმმა, რომლებსაც ამხ. ბ. და ტ. მეთაურობენ, გერმანელები განდევნა ერთი სოფლიდან. მტერმა მოკლულთა სახით 72 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. პარტიზანებმა დანაღმეს გზის უბანი, რომლითაც ჰიტლერელებს თავიანთი ნაწილებისათვის სურსათი მიჰქონდათ. ნაღმებზე აფეთქდა პროდუქტებით დატვირთული 5 მარხილი და 7 ჯარისკაცი. ამხ. ი-ს რაზმის პარტიზანებმა ერთი დღის განმავლობაში ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანიის 2 თვითმფრინავი „იუ-52", რომლებიც დაბლა დაფრინავდნენ.

* * *

რუმინეთის მე-18 ქვეითი დივიზიის მე-18 პოლკის მე-2 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ვასილე ეიანუმ განაცხადა: „ჩვენ მუდამ მშიერნი ვიყავით. მე-2 ასეულის ჯარისკაცმა კონსტანტინე უნგურიანუმ საზიდარიდან ერთი პური მოიპარა. კაპიტანმა დუმიტრესკუმ განაცხადა: ამ ჯარისკაცს მოვკლავო. ღამით უნგურიანუ ცდილობდა თავი მოეკლა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. დაჭრილი უნგურიანუ ჰოსპიტალში გაჰგზავნეს, შემდეგ კი იგი სამხედრო-საველე სასამართლომ გაასამართლა. ორი კვირის წინათ კაპიტანმა დუმიტრესკუმ ჩაგვამწკრივა და გვითხრა: „ჯარისკაცებო, თქვენ თითოეულს 50 გრამი შაქრი უნდა მიგეღოთ, მაგრამ იგი მესანგრეებმა მოიპარეს. ამიტომ თქვენ შაქარს ვერ მიიღებთ... ყოველ თქვენგანს ერგება 4 თაფლის კვერი, მაგრამ ეს თაფლის კვერი ცხენოსნებმა შესჭამეს". ასეთი საუბარი ჩვენ ძალიან ხშირად გაგვიგონია. ამგვარი დაცინვა ჯარისკაცთა აღშფოთებას იწვევს".

* * *

შიმშილისა და შრომის აუტანელი პირობების გამო დიდძალი უცხოელი მუშა იხოცება, რომლებიც ჰიტლერელებმა ოკუპირებული ქვეყნებიდან გერმანიაში მორეკეს გერმანელთა საწარმოებში სამუშაოდ. სამუშაო დღე უცხოელებისათვის 14-16 საათს გრძელდება. შემჩნეულია ჩარხებთან და კონვეიერებთან უეცარი სიკვდილის ბევრი შემთხვევა. გერმანიიდან ყოველდღე მოემგზავრება სამშობლოში მრავალი ასეული მუშა, რომლებიც წარმოებაში დასახიჩრდნენ და უკვე სრულიად დაჰკარგეს ფიზიკური შრომის უნარი. ელბის მარტო ერთ-ერთ ქარხანაში, ლაინის ამონიაკის ქარხნებში, მერზებურგის მახლობლად, ლაუშის ალუმინის ქარხანაში, ნიურნბერგის მანქანათმშენებელ ქარხანაში და სხვა ქარხნებში უბედური შემთხვევების შედეგად თებერვლის განმავლობაში დაიღუპა 10.000-მდე მუშა, უმთავრესად ფრანგები, იტალიელები და ესპანელები.

რა ხდება გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტაგანროგში

სამხრეთის ფრონტი, 27 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ დღეებში ფრონტის ხაზზე გადმოვიდა ტაგანროგის რამდენიმე მცხოვრები, რომლებიც ფაშისტური ტყვეობიდან გამოიქცნენ. მათთან ერთად მოვიდა გერმანელი ჯარისკაცი ფრიდრიხ პიტცნერი, რომელიც ტაგანროგელებს შეუერთდა გზაში, რათა ნებაყოფლობით ტყვედ დაგვნებებოდა.

ჩამოსულებმა ჩვენს მებრძოლებსა და მეთაურებს აუწერეს იმ მხეცობის საშინელი სურათი, რასაც გერმანელები სჩადიან ტაგანროგში. ეს სურათი მათ საკუთარი თვალით ნახეს, და თვითონვე განიცადეს გერმანელთა ოკუპაციის მთელი საშინელება...

გერმანელმა დამპყრობლებმა ტაგანროგი ნამდვილ დილეგად, სასაფლაო ქალაქად გადააქციეს. ქალაქის ქუჩებში ყოველდღე მიჰყავთ ხელებშეკრული ადამიანები გესტაპოში საწამებლად. დღე არ გავა, რომ ქალაქგარეთ, ხევში, არ იპოვნონ ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა გვამები. გერმანელმა მტარვალებმა მოჰკლეს და აწამეს ტაგანროგის ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები. დახვრიტეს ქალაქში ცნობილი და პატივცემული ექიმი ზაკი, მსახიობი ვანოვსკი და მისი ცოლი მსახიობი გორსკაია, ქარხანა „კრასნი კოტელშჩიკის" სამქროს უფროსი ბორისენკო, კულტურის პარკის დირექტორი სოშნიკოვი, ადვოკატი ლიბკოვიჩი, „ზაგოტზერნოს" მმართველი კუზნეცოვი, ბადეების საქსოვი ფაბრიკის დირექტორი პანიდოლოკი და ბევრი სხვა,—ყველას ვინ მოსთვლის. საკმარისია ქუჩაში სამმა და ოთხმა კაცმა ერთად გაიაროს, რომ საშინლად დამფრთხალმა ფაშისტებმა სროლა ასტეხონ. მარტო სიტყვისათვის „ამხანაგი" ხალხს საშინლად სცემენ.

გერმანელები ასეთ ბოროტმოქმედებას ახლომდებარე სოფლებშიც სჩადიან. სოფელ პ. ლატოვოში გერმანელებმა 300 კაცი დახვრიტეს; სოფელ ბოკოვის მახლობლად, სადაც გერმანელთა მანქანა ნაღმზე აფეთქდა, 20 კაცი დახვრიტეს, მარიუპოლში 253 კაცი დახვრიტეს.

ქალაქში საშინელი ხასიათი მიიღო სიკვდილიანობამ და ეპიდემიამ. გამეფებულია აშკარა ძარცვა-გლეჯა. ძარცვავენ გერმანელებიც, იტალიელებიც და სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და ბანდიტებისაგან შექმნილი პოლიციაც. გერმანელი ჯარისკაცები კოლმეურნეებს ძარცვავენ და შემდეგ მათივე ძროხის ხორცს მათვე აძლევენ ზღაპრულ ფასად.

ფაშისტები სპობენ ყველაფერს, რასაც კი დამოკიდებულება აქვს რუსულ კულტურასთან, რუსი ხალხის ისტორიასთან. მათ გასჩეხეს ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს გაშენებული საუკეთესო პარკი და ამ ადგილას თავიანთი არამზადების სასაფლაო მოაწყეს. მათ გაძარცვეს ჩეხოვის მუზეუმი, სადაც მწერლის ხელნაწერები და ტოლსტოისა და გორკის ავტოგრაფებიანი წიგნები იყო დაცული, გაანადგურეს ჩეხოვის სახლი, დაამსხვრიეს მისი ბიუსტი. სკოლები თავლებად გადააქციეს, მერხები შეშად დასჩეხეს, ყოველ კუთხეში სამეძაოები გახსნეს თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. ყველაფერი, რაც კი ოდნავ ღირებულებას წარმოადგენს — ტანისამოსი, ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები—გერმანიაში მიაქვთ. ჰიტლერელი მაროდიორები ტაგანროგის მცხოვრებლებს ყველაფერსართმევენ, ბავშვის წინდებსაც კი არ უტოვებენ.

მაგრამ ტაგანროგის მცხოვრებნი ქედს არ იხრიან, სულიერად არ ეცემიან; ისინი მტკიცედ იტანენ ყოველგვარ ტანჯვას და თავიანთი განმათავისუფლებელი წითელი არმიის მოსვლას ელიან. ოკუპირებულ ტაგანროგში ერთი წუთითაც არა სწყდება ბრძოლა. ტაგანროგელები დღედაღამ მოსვენებას არ აძლევენ საზიზღარ მტერს, მუდმივი დაძაბულობისა და შიშის მდგომარეობაში ამყოფებენ და ემზადებიან იმისათვის, რომ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ზურგში ოკუპანტებს.

ვ. სობოლევი.

მტერი უკუქცეულია დიდი ზარალით

კალინინის ფრონტი, 26 მარტი (საკდესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელები ძლიერ კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომელშიც მტერმა დაჰკარგა 700 ჯარისკაცი და ოფიცერი და 17 ტანკი.

ამ ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა სიმამაცისა და საბრძოლო უნარიანობის ახალ-ახალი შესანიშნავი მაგალითი დაგვანახვეს. მეთაურ ოლეშევის ქვეგანაყოფის წითელარმიელებმა დღე-ღამის განმავლობაში ოსტატურად მოიგერიეს ფაშისტების რამდენიმე გააფთრებული კონტრიერიში, დააზიანეს და ხელთ იგდეს 7 ტანკი და 200-მდე ჰიტლერელი მოსპეს.

წითელარმიელი სერგი პონომარიოვი თავისი ამხანაგების ჯგუფით პირველი შეიჭრა ფლანგიდან სოფელში, გასტეხა გერმანელთა წინააღმდეგობა და ხელთ იგდო მტრის 3 ტყვიამფრქვევი, რომლებიც იქვე მიაბრუნა გაქცეული ფაშისტებისაკენ. მამაცმა მეომრებმა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი დახოცეს გერმანელთა ტყვიამფრქვევით.

ჩვენი მებრძოლები მეტად ოსტატურად იყენებენ ხელის ყუმბარებს — „ჯიბის არტილერიას", მაგალითად, ათეულის მეთაურმა პოლკანოვმა გრანატების რამდენიმე მარჯვე ტყორცნით დაანგრია ორი ბლინდაჟი მტრის ქვეითი ჯარიანად და ჩააჩუმა მტრის ერთი დაზგის ტყვიამფრქვევი.

ი. კორიაგინოვი.

იაროსლავლის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, წითელი არმიისათვის მარხილებისა და თხილამურების წარმოების მოწყობისა და დამზადების დარგში მთავრობის დავალებათა ჩინებულად შესრულებისათვის, დაჯილდოებული არიან:

„შრომის წითელი დროშის" ორდენით—ა. გ. კორშუნოვი, ა. ნ. ლარიონოვი, ნ. ი. ლიკოვი, ს. გ. ოვჩინიკოვი, ტ. გ. პეტროვი, დ. გ. სუბოტინი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით—15 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—4 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"—9 კაცი.

საბჭოთა კავშირის გმირი თემურ მიხეილის-ძე ფრუნზე



საბჭოთა კავშირის გმირებს სახელოვან ოჯახს შემატა 19 წლის ახალგაზრდა მფრინავი-გამანადგურებელი თემურ მიხეილის-ძე ფრუნზე. ამაყი სტალინური შევარდენი თემურ ფრუნზე შესანიშნავი მთავარსარდლის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძალისა და ძლიერების ერთერთი ფუძემდებლის მიხეილ ფრუნზეს შვილია. სრულიად ახალგაზრდა, იგი დიდი სამამულო ომის ფრონტზე გმირულად იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ და სახელოვანი მამის დიდების ღირსი გახდა.

ფაშისტების წინააღმდეგ მარტო სამ საჰაერო ბრძოლაში თემურ ფრუნზემ ვერაგი მტრის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში მან უმცროს ლეიტენანტ შუტოვთან ერთად იერიში მიიტანა გერმანელთა ოთხი თვითმფრინავის წინააღმდეგ და, მიუხედავად მტრის რიცხვობრივი უპირატესობისა, ჩამოაგდო ერთი „მესერშმიტი".

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს უშიშარ მფრინავს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თემურ მიხეილის-ძე ფრუნზეს სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და გადასცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებს

მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXIV წლისთავზე ჩვენ საბჭოთა საქართველოს მშრომელებისაგან, კერძოდ, აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელთაგან მივიღეთ საჩუქრები.

ჩვენ მუდამ გვეხსომება ამ საჩუქრების მნიშვნელობა.

ჩვენმა დიდმა მხედართმთავარმა, საყვარელმა თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა **სტალინმა** მითითება მისცა ფრონტის ყირიმის უბნის ჯარებს გაათავისუფლონ ყირიმი გერმანელი ოკუპანტებისაგან.

ჩვენ მთელ ძალ-ღონეს ვიხმართ, რათა ღირსეულად შევასრულოთ ეს ფრიად პასუხსაგები ამოცანა და მთელი ყირიმი კვლავ საბჭოთა იქნება.

ჩვენ, დიდი საბჭოთა კავშირის შვილები, ღირსეულად დავიცავთ საბჭოთა საქართველოს, აზერბაიჯანის ნავთის მდიდარ რაიონს, ყუბანის, ჩრდილოეთ კავკასიის პურის რაიონს, საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალს.

საბჭოთა კავშირის ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ იცის, რომ გერმანელი ბანდიტებისაგან ყირიმის განთავისუფლებით სწყდება ოკუპანტებისაგან ამიერ-კავკასიის, ყუბანის, ჩრდილოეთ კავკასიის დაცვისა და გერმანელი ოკუპანტებისაგან უკრაინის განთავისუფლების საკითხი.

ჩვენს მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს კარგად ესმით ეს და ყველაფერს აკეთებენ მტრის სრული განადგურებისათვის.

წინ და მხოლოდ წინ—ასეთია ჩვენი ლოზუნგი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენ ზურგს გვიმაგრებს მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც თავის მშობლიურ წითელ არმიას ყველაფრით უზრუნველჰყოფს.

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გადასცეთ მადლობა საბჭოთა საქართველოს ხალხებს იმისათვის, რომ ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენზე.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს დიად და უძლეველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს დიდ მხედართმთავარს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

სამშობლოსათვის, დიდი **სტალინისათვის** — წინ, ჰიტლერელთა ბანდების სრული განადგურებისაკენ!

მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დავალებით: პოლკოვნიკი **ზ. ზ. ყურაშვილი**, ბატალიონის უფროსი კომისარი **კაზაჩკი**, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **ზაქარაია**, ბატალიონის კომისარი **დენისენკო**, მაიორი **ხოდკევიჩი**, მაიორი **ჩიქვაიძე**.

ბატარიის მეთაურ ხრენოვის გამბედაობა და სიმამაცე

დასავლეთის ფრონტი, 27 მარტი (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). გერმანელ ფაშისტთა ბანდებს სამი დღე-ღამის განმავლობაში არაერთხელ მოჰქონდათ კონტრიერიში ჩვენი ჯარების მიერ დაკავებულ ერთ-ერთ სოფელზე. არტილერისტები მტრებს გრიგალისებური ცეცხლით შეხვდნენ. მაგრამ სიბრაზისაგან გონებადაკარგული ფაშისტები, უდიდესი ზარალის მიუხედავად, კვლავ წინ მოძვრებოდნენ.

ამ ბრძოლაში უმაგალითო მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა ბატარიის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ხრენოვმა. მისი სამეთვალყურეო პუნქტის რაიონში გერმანელებმა შესძლეს თავდაცვის პირველ ხაზში შემოჭრა და რამდენიმე ათეული მეტრით უკან დაახევინეს ჩვენს ნაწილებს. ამგვარად, სამეთვალყურეო პუნქტი მსროლელი ქვეგანაყოფების წინ აღმოჩნდა. ფაშისტები მას 50-60 მეტრით მოუახლოვდნენ. მაგრამ უფროს ლეიტენანტ ხრენოვს სამეთვალყურეო პუნქტი არ მიუტოვებია. მან გადასწყვიტა ბლინდაჟში დამალულიყო და თავისკენ წარემართა თავისივე ბატარიის ცეცხლი. ხრენოვმა საველე ტელეფონის მილი აიღო და ბრძანება გასცა:

— მტრებს იერიში მოაქვთ ჩემს სამეთვალყურეო პუნქტზე. დაუყოვნებლივ გააჩაღეთ ჩემსკენ ცეცხლი!

ბატარიის ტელეფონისტი ერთ ადგილზე გაშეშდა. მას მეთაურის ბრძანებამ თავზარი დასცა.—ძალიან საეჭვო იყო, რომ ასეთი სროლის დროს იგი ცოცხალი გადარჩენილიყო.

— რას აყოვნებთ? ცეცხლი!—განიმეორა ხრენოვმა.

— ცეცხლი სამეთვალყურეო პუნქტისაკენ,— მაშინალურად წამოიძახა ტელეფონისტმა, თავი აპარატს დაადო და თვალი დახუჭა. იგი გონზე მოიყვანა არტილერიის ბათქმა, რომელმაც მთელი არე-მარე შეაზანზარა. ხელი სტაცა მილს და კვლავ გაიგონა თავისი მეთაურის დამშვიდებული ხმა:

— ალო, ალო!

— ცოცხალია!—სიხარულით წამოიძახა ტელეფონისტმა.

— ცოცხალი ვარ და კიდევაც ვიცოცხლებ,—მხიარულად უპასუხა მეთაურმა,—ახლა კი ძლიერი ცეცხლი ბუჩქნარისაკენ!

— ბლინდაჟი ყუმბარების აფეთქებისაგან ზანზარებდა. მტრის უზარმაზარი შავი სვეტები ჰაერში აიმართა, ხრენოვი კი ღინჯად განაგრძობდა ცეცხლის კორექტირებას და ყოველ წუთს სიცოცხლის რისკს ეწეოდა. ბლინდაჟის ირგვლივ რამდენიმე ათეულ მეტრზე თოვლი გაშავდა და მტრის სისხლით შეიღება. ჩვენი ყუმბარების მიერ შექმნილი ორმოების მახლობლად მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა ასამდე დაფლეთილი გვამი ეყარა. ბატარია კი კვლავ ურტყამდა და ურტყამდა. გერმანელებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა არტილერიის გრიგალისებურ ცეცხლს, ისინი პანიკამ მოიცვა, იარაღი და დაჭრილები მიატოვეს და მოჰკურცხლეს.

იმ დღეს ჩვენმა არტილერისტებმა გაჰფანტეს და მოსპეს ფაშისტთა 3 ასეულამდე ქვეითი ჯარი, ჩააჩუმეს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ცეცხლი, გაანადგურეს 2 ბლინდაჟი, ააფეთქეს საწვავის საწყობი და მტრის რამდენიმე სატყვიამფრქვევო ბუდე.

ა. ვიქტოროვი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს VI სესია

26 მარტს შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს VI სესია. სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. კოჩლამაზაშვილმა. დეპუტატ თოდრიას წინადადებით სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ვ. გონგაძე, მდივნად—დეპუტატი ა. კასუმოვა.

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და, 2. ორგანიზაციული საკითხები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა დეპუტატმა ი. კოჩლამაზაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში ქალაქის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები სერიოზულად ზრუნავენ მოსახლეობის სანიტარული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ქალაქის მოსახლეობაში ჩატარებულია დიდი სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

ამასთანავე მომხსენებელმა გააკრიტიკა მთელი რიგი ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს ბინა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, იგი დანაგვიანებულია. კიროვის სახელობის ქარხნის საცხოვრებელი სახლის დერეფნები და კიბეები ტალახითა და ჭუჭყითაა დაფარული. ქარხნის დირექტორი სარიშვილი და საცხოვრებელი სახლის კომენდანტი რაზმაძე კი ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ასევე ანტისანიტარულ მდგომარეობაშია ავტოსარემონტო ქარხნის საცხოვრებელი სახლები (საბჭოს ქ. № 317 და 319), № 7 სამკერვალო ფაბრიკის საცხოვრებელი სახლი (საბჭოს ქ. № 212) და სხვ.; ზოგიერთი აბანოს, საცხოვრებელი სახლის, სახელოსნო სასწავლებლის ხელმძღვანელები დაუდევრობას იჩენენ ამ მხრივ, თავს არ იწუხებენ სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გასატარებლად. ახლა კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამაზე უნდა იზრუნონ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და პირველ რიგში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: გ. ცაგარელმა, ს. თოდრიამ, პ. შუშანიამ, შ. გვიჩიამ, ვ. ესიბუამ, გ. არუშანოვმა, ს. მაჭავარიანმა და მ. მურადაშვილმა. დეპუტატ ა. ქურდიანის წინადადებით სესიამ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებათა გატარებას ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ სესიამ განიხილა საორგანიზაციო საკითხები. დეპუტატ ვ. ჩერქეზიას წინადადებით ქალაქ თბილისის გარეთ სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო განთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები ი. ყუჯიაშვილი და ლ. გორგიძე, ქალაქის საბჭოს აღმასკომის მდივანი ი. ხეთაგური, ქალაქის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე მ. მემარნიშვილი და ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების გამგე გ. გოგავა.

დეპუტატ ჩერქეზიას წინადადებით, რომელიც გამოვიდა ლენინის, მოლოტოვის და კიროვის რაიონების დელეგატთა ჯგუფის სახელით, სესია დეპუტატ შ. გვიჩიას ირჩევს ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და კომუნალური განყ. გამგედ, დეპუტატ შ. ბაქრაძეს ქალაქის საბჭოს აღმასკომის მდივნად, ამხ. ვ. ხუმაროვს—ქალაქის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ და ამხ. ა. დავითიანს—ქალაქის საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგედ.

ქალაქ თბილისის გარეთ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით სესიამ ქალაქის საბჭოს აღმასკომის წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა ი. ყუჯიაშვილი, ლ. გორგიძე, ქ. მურჯიკნელი, გ. ბოჭორიშვილი და ი. მარკოვი. მათ მაგიერ აღმასკომის წევრებად არჩეული არიან დეპუტატები: შ. გვიჩია, შ. ბაქრაძე, გ. თევზაძე, ნ. ბუჯიაშვილი და ა. ბითაძე.

დეპუტატ ა. გიორგაძის წინადადებით ქალაქ თბილისის გარეთ სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო სესიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მუდმივად მოქმედი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. გოლეთიანი და ამ კომისიის წევრები ი. ლუარსაბოვი, შ. სამონიშვილი, გ. ჩხობაძე და შ. კუჭუხიძე. მუდმივად მოქმედი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი გ. ვაშაკიძე, ამავე კომისიის წევრებად დეპუტატები ნ. ლორთქიფანიძე, ტ. აბაშიძე, ე. ალანაკიანი და ო. პატარაია.

ქალაქ თბილისის გარეთ სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო სესიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა კომუნალური მეურნეობის მუდმივად მოქმედი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი გ. აბესაძე და მის მაგიერ აირჩია დეპუტატი ბ. ბუკია.

ამავე მიზეზის გამო სესიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მუდმივად მოქმედი თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე მ. მარკოვი და ამ კომისიის წევრები: ს. პრილუცკაია, მ. კუჭავა, პ. ცერცვაძე, ა. ოდიშარია, გ. ანთელიძე, შ. ბერეკაშვილი, ი. ნესკუბო და კ. მორდოვსკი. სესიამ მუდმივად მოქმედი თავდაცვის კომისიის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი გ. ფრუიძე, ხოლო კომისიის წევრებად დეპუტატები: გ. ცქიტიშვილი, ტ. გაბუნიძე, გ. ესაკია, მ. მელქიანი, კ. შახაზიზოვი, ე. ჩოფიკაშვილი, გ. დოლიძე და მ. ლომიძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს VI სესიამ ამით დაამთავრა თავისი მუშაობა.

ვ. ბუჯიაშვილი — საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

პარტიული მუშაობა კოლმეურნეობებში ავიყვანოთ სამამულო ომის ამოცანათა დონეზე*

ჯერ კიდევ დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „ქალი კოლმეურნეობებში—დიდი ძალაა... ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წინ წავწიოთ ქალები კოლმეურნეობებში და საქმეში ჩავაბათ ეს ძალა".

პარტიამ და მთავრობამ ბევრი რამ გააკეთეს კოლმეურნეობებში ქალების ... [illegible]

... ერთხელ შეიცვალა 27 მდივანი, ორჯერ — 11, თეთრი წყაროს რაიონში 35 მდივნიდან ერთხელ შეიცვალა 15 მდივანი და ორჯერ—6.

პირველადი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების შემადგენლობაში ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა რაიპარტორ... [illegible]

[illegible]

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 73.

საბჭოთა კავშირისადმი ინტერესი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 27 მარტი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ყველა ფენაში უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, მისი კულტურისა და მისი წითელი არმიისადმი. ამერიკის რადიო გადმოგვცემს სტატიებს საბჭოთა კავშირის შესახებ და წითელი არმიის საბრძოლო მოქმედების აღწერილობას. ნიუ-იორკის მუნიციპალური რადიოსადგური აწყობს საბჭოთა კავშირის შესახებ პროგრამების სერიის გადაცემას შემდეგი სათაურით: „ჩვენი მოკავშირეები". მარტის შუა რიცხვებში მთელს ამერიკაში მოეწყო რადიოგადაცემა, რომელიც ზოია კოსმოდემიანსკაიას უკვდავ საგმირო საქმეს მიეძღვნა.

ყველა დიდ ქალაქში უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს. ჰოლივუდში ამზადებენ კინოფილმ „მებრძოლი მეგობრების" ამერიკულ ვარიანტს. საბჭოთა ფილმების გამქირავებელი ორგანიზაცია იუწყება, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად იმატა საბჭოთა კინოსურათების მოთხოვნილებამ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ დოკუმენტალური კინოფილმები, რომლებიც მიძღვნილია წითელი არმიისა და საბჭოთა ქალისადმი.

დიდი მოთხოვნილებაა წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის შესახებ დაწერილი სტატიებისა და წიგნების, განსაკუთრებით სსრ კავშირში ამერიკის ყოფილ ელჩ დევისის წიგნისა. ეს წიგნი უახლოეს ხანს ფრანგულ ენაზე გამოვა კანადაში და ესპანურ ენაზე — მექსიკაში. უკანასკნელ თვეებში მნიშვნელოვნად გადიდდა ჟურნალ „სოვიეტ რაშა ტუდეის" („საბჭოთა რუსეთი დღეს") ტირაჟი. ანა ლუიზ სტრონგის წიგნი—„რა არის საბჭოები და რას მოელიან მათგან" 35 ათასი ცალის რაოდენობით გაიყიდა. კენტერბერის ტაძრის მოძღვრის წიგნი „საბჭოთა ხელისუფლება" 1.300.000 ცალის რაოდენობით გაიყიდა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა 300 ათას ცალზე მეტი საბჭოთა ბროშურა განათლების, ბავშვთა აღზრდისა და სხვ. საკითხებზე. დიდი საბჭოთა ატლასის პირველი ტომი მთლიანად გაიყიდა.

უახლოეს ხანში გამოვა ლონდონის გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტ უერტსის წიგნი „მოსკოვის სამხედრო დღიური" და კორესპონდენტების — დევისისა და ხტეიგერის წიგნები „საბჭოთა აზია" და „დემოკრატიის თავდაცვის პირველი ხაზი". უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა საბჭოთა წიგნების მრავალი თარგმანი, მათ შორის ტარლეს წიგნი „ნაპოლეონის თავდასხმა რუსეთზე 1812 წელს" და ილინის წიგნი „როგორ გახდა ადამიანი გოლიათი". დიდი მოთხოვნილებაა შოლოხოვის რომანისა „წყნარი დონი". ორი გამომცემლობა ბეჭდავს ტოლსტოის რომან „ომი და მშვიდობის" ახალ გამოცემას.

ამერიკის ფლოტის მოქმედება წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში

ლონდონი, 26 მარტი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე იმ მოქმედების შესახებ, რასაც ამერიკის ფლოტმა და ავიაციამ მიმართა თებერვლის დამლევისა და მარტის დამდეგს იაპონელთა მიერ ოკუპირებული უეიკის კუნძულის წინააღმდეგ და მარკუსის კუნძულის წინააღმდეგ, რომლებიც ჰავაის კუნძულებსა და იაპონიის სანაპიროს შორის არსებულ რაიონში მდებარეობენ. მარკუსის კუნძული იოკოჰამიდან 990 მილის მანძილზე მდებარეობს.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ დაბომბვისა და გემებიდან გახსნილი საარტილერიო ცეცხლის შედეგად კუნძულებზე სერიოზულად დაზიანდა სანაპირო ნაგებობანი და აეროდრომები. უეიკის კუნძულის სანაპიროსთან ჩაძირულია 2 საპატრულო გემი და დაზიანებულია 2 დიდი საზღვაო თვითმფრინავი. ნგრევა მოხდა ნავსადგურებსა და აეროდრომებზე. დანგრეულია აგრეთვე წყალსაცავები.

ამერიკის ავიაციამ მხოლოდ 2 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ლონდონი, 26 მარტი (საქდესი). როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელიც უეიკისა და მარკუსის კუნძულების წინააღმდეგ საჰაერო და საზღვაო ძალთა მოქმედებას შეეხო, ამ მოქმედებას უწოდა „ომი იაპონიის კარმიდამოზე". ეს მოქმედება, — განაცხადა მან,—წარმოადგენს ყველა იმ კითხვის პასუხს, თუ „სად იმყოფება ჩვენი ფლოტი და რას აკეთებს იგი?" ჰონოლულუს საზღვაო ბაზიდან მარკუსის კუნძულებამდე მანძილი დაახლოებით 5.300 მილს უდრის, რითაც აიხსნება ნაწილობრივ ამ მოქმედების შესახებ ინფორმაციის დაგვიანება. ეჭვი არ არის, რომ იაპონელთა მიერ უეიკის კუნძულის ოკუპაციის შემდეგ იაპონელებმა ეს კუნძული დიდძალი ნავთით, ქვანახშირითა და სხვა სამხედრო მასალებით მოამარაგეს. მარკუსის კუნძულს იაპონიის ფლოტი სათბობის შესავსებ ბაზად იყენებს.

საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვის აუზში

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ლიბიის ფრონტზე არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა ინგლისის ჯარების 21 მარტის წარმატებითმა თავდასხმამ მტრის პოზიციებზე ტმიმის რაიონში. ამ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები და მსუბუქი მოძრავი არტილერია. ინგლისის მე-8 არმიის ქვეგანაყოფები, რომლებიც თავისუფალი საფრანგეთისა და სამხრეთ-აფრიკის კავშირის ჯარების რაზმებთან ერთად მოქმედებდნენ, ღრმად შეიჭრნენ მტრის განლაგებაში, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას, ხელთ იგდეს რამდენიმე ქვემეხი და 150 ტყვე, რის შემდეგ თავდაპირველ პოზიციებზე დაიხიეს.

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ინგლისის ავიაცია ლიბიაში იტალიის აეროდრომებისა და სხვა ობიექტების დაბომბვას განაგრძობდა, ამასთან რამდენიმე თავდასხმა მოახდინა მტრის აეროდრომებსა და ბაზებზე საბერძნეთში (ათენი, სალამი და პირეი) და კრეტის კუნძულზე.

განსაკუთრებით დაძაბული ხასიათი ჰქონდა მალტაში გამართულ საჰაერო ბრძოლას. მარტო 21 მარტის განმავლობაში ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ კუნძულზე 17 „მესერშმიტი" და „იუნკერსი" ჩამოაგდეს. 25 მარტს მალტაში ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა დააზიანეს ან მოსპეს მტრის 30-მდე ბომბდამშენი „იუნკერს—87", რაც მტრის იმ მანქანების სულ ცოტა ნახევარს მაინც შეადგენს, რომლებიც ამ დღეს მონაწილეობას იღებდნენ კუნძულზე თავდასხმაში.

22, 23 და 24 მარტს ინგლისის დიდი საზღვაო ქარავნის რეისის გამო, რომელმაც მალტაში მნიშვნელოვანი ტვირთი მიიტანა, საზღვაო ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა მტრის „ლიტორიოს" კლასის სახაზო გემი, 6 კრეისერი და საესკადრო ნაღმოსნები, აგრეთვე 150-მდე ბომბდამშენი. ბრძოლის დროს ტორპედის პირდაპირი მოხვედრისაგან და ინგლისის გემებიდან გახსნილი საარტილერიო ცეცხლისაგან დაზიანდა იტალიის სახაზო გემი; სახაზო გემზე ხანძარი გაჩნდა. სერიოზულად დაზიანდა აგრეთვე მტრის ერთი კრეისერი. საავიაციო ბომბის მოხვედრის შედეგად დაზიანდა და შემდეგ ჩაიძირა ინგლისის ერთი გემი. ბომბის მოხვედრის შედეგად დაზიანდა აგრეთვე ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი, რომელმაც მაინც მოახერხა ნავსადგურამდე მისვლა.

ხმელთაშუა ზღვაში წარმატებით მოქმედებენ ინგლისის წყალქვეშა ნავები; უკანასკნელ ხანს ამ წყალქვეშა ნავებმა მტრის 11 გემი და 2 წყალქვეშა ნავი ჩაძირეს.

27 მარტი. (საქდესი).

კელნზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 27 მარტი (საქდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს იმ თავდასხმის დაწვრილებით ცნობებს, რომელიც ინგლისის ავიაციამ მოახდინა კელნზე 13 მარტს ღამით. დღისით გადაღებული ფოტოგრაფიული სურათები მოწმობენ, თუ რა ნგრევა მოხდა ამ კონცენტრირებული თავდასხმის დროს.

ქალაქის ჩრდილოეთ, ყველაზე სამრეწველო ნაწილში აღნიშნულია, რომ დიდი ყალიბის ბომბი პირდაპირ მოხვდა რკინიგზის დეპოს, სადაც რამდენიმე ვაგონი რელსებიდან გადავარდა. დეპოს სამხრეთ ნაწილში ხანძარმა სრულიად მოსპო რკინიგზის რამდენიმე სახელოსნო, სხვა სახელოსნოები ფუგასური ბომბების აფეთქების შედეგად დაზიანდა. სახელოსნოების აღმოსავლეთით მძიმე ბომბის აფეთქების გამო სავსებით დაინგრა შენობები, რომლებსაც 6 ათასი კვადრატული იარდი ტერიტორია ეჭირათ. მნიშვნელოვნად დაზიანდა ფრანც კლოდტის ფირმის რეზინის ქარხანა, რომელიც შინებს, რეზინის მილებსა და სხვა სამხედრო მასალას ამზადებდა. ქარხნის ტერიტორიას 168 ათასი კვადრატული იარდი ფართობი უჭირავს. ქარხნის უმეტესი ნაწილი მიწასთან არის გასწორებული. ხანძარმა რამდენიმე საწყობი მოსპო; ბევრი სხვა საწყობი სერიოზულად დაზიანდა.

ამ პუნქტის ჩრდილოეთით მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა დასახლებულ რაიონს. მთავარი ვაგზლის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა სახლების კვარტალებს. ქალაქის ტაძრის დასავლეთით დაახლოებით 1.000 იარდზე დიდი ყალიბის ბომბით დანგრეულია კვარტალი, რომელსაც 16 ათასი კვადრატული იარდი ტერიტორია ეჭირა. ქალაქის მთავარი სკვერის სამხრეთით სავსებით მოსპობილია მთელი კვარტალი, რომლის ნაცვლად სურათზე მხოლოდ ბომბის აფეთქების შედეგად ამოთხრილი ძაბრი მოსჩანს.

ჰიტლერიზმს ავადმყოფობა და შიმშილი მოაქვს

ანკარა, 27 მარტი (საქდესი). თურქი ჟურნალისტი ემერი გაზეთ „ულუსში" სწერს ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული კატასტროფული სასურსათო მდგომარეობის შესახებ. სურსათის საკითხი ძალიან მწვავედ დგას საფრანგეთში,—ნათქვამია სტატიაში.—იქ დღეში სულზე 100 გრამ პურს იძლევიან. ხშირად არა ხორციელდება დადგენილება მუშებისათვის 200 გრამი პურის მიცემის შესახებ. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, საფრანგეთში სიკვდილიანობა 49 პროცენტით გადიდდა. თუ კოპენჰაგენში წინათ დღეში 3.000 ღორს და 2.500 სულ მსხვილფეხა რქიან საქონელს ჰკლავდნენ, ახლა იქ დღეში მხოლოდ 3 ღორსა და 8 სულ საქონელს ჰკლავენ. ნორვეგიაში, რომელიც კარაქის სიუხვით განთქმული ქვეყანა იყო, ახლა მარგარინსაც კი ვერ იშოვი. პურში ურევენ ცელულოზას, რის გამო კუჭნაწლავების დაავადების შემთხვევები გახშირდა. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობა საბერძნეთშია. აქ უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ არა სიძნელეებზე, არამედ შიმშილობაზე.

საჰაერო განგაში პარიზში

ნიუ-იორკი, 27 მარტი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან გადმოგვცემს, რომ 25 მარტს ღამით პარიზში საჰაერო განგაში გამოცხადდა, რაც საათნახევარს გაგრძელდა. ინგლისის თვითმფრინავებმა ქალაქში ჩამოჰყარეს ფურცლები, რომლებითაც მოსახლეობას აფრთხილებდნენ, რომ ინგლისის ავიაცია შემდეგშიაც დაბომბავს საფრანგეთის საწარმოებს, რომლებიც გერმანიისათვის მუშაობენ.

კორესპონდენტი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ 25 მარტს ინგლისის ავიაციამ დაბომბა ტრეს გემთსაშენი, რუანის მახლობლად.

საფრანგეთის ტანკერი საწვავ მასალას აწვდის გერმანიის წყალქვეშა ნავებს

ნიუ-იორკი, 27 მარტი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მექსიკიდან იუწყება, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მექსიკის საზღვაო სამინისტროს განკარგულებით ტამპიკოს ყურეში ბადრაგით მიყვანილ იქნა საფრანგეთის ტანკერი. პრესა ამას წინათ იუწყებოდა, რომ ეს გემი საწვავ მასალას აწვდიდა ღერძის სახელმწიფოთა წყალქვეშა ნავებს.

მექსიკის სანაპირო მცველმა რაზმმა ბადრაგით წაიყვანა ტანკერი მას შემდეგ, რაც იგი ვერა-კრუსის მახლობლად იქნა შემჩნეული საეჭვო პირობებში.

გერმანიის ჯაშუშური ცენტრის განადგურება ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 27 მარტი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო რიო-დე-ჟანეიროდან გადმოგვცემს: სან პაულოს შტატის პოლიციამ გამოაცხადა, რომ აღმოჩენილი და გაჩანაგებულია ღერძის სახელმწიფოების ჯაშუშური ორგანიზაცია, რომლის ცენტრიც ამ შტატში იმყოფებოდა. დაპატიმრებულია ბევრი გერმანელი, აგრეთვე ბრაზილიელი ფაშისტი, ეგრეთწოდებული „მწვანეხალთიანები". პოლიციის განცხადებით, სამხრეთ ამერიკაში ეს ერთ-ერთი უდიდესი ჯაშუშური ორგანიზაცია იყო.

[illegible]

ფრონტის ყირიმის უბანი. არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები იბარებენ საჩუქრებს.
(ფოტო ო. მაგაკიანისა)

კინონარკვევი ყირიმის ფრონტის შესახებ

სამამულო ომთან დაკავშირებით თბილისის კინოსტუდიის კინოქრონიკამ საომარ ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა და მჭიდროდ დაუკავშირდა ფრონტს. კინოქრონიკის რეჟისორ-ოპერატორთა ორი კომკავშირული ბრიგადა (ჩაგუნავა, აჯიბეგაშვილი, დეკანოსიძე, მიტროფანოვი, არზუმანოვი, კილოსანიძე) პატრიოტული ხალისით გაემგზავრა სამხრეთის ფრონტზე და დაუღალავ მუშაობას ეწევა წითელ მეომართა გმირული ბრძოლების ეკრანზე ასახვისათვის.

წითელი არმიის XXIV წლისთავის და საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მშრომელებმა ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნეს სამხრეთის ფრონტის მებრძოლებს. საქართველოს მშრომელთა დელეგაციასთან ერთად ფრონტზე გაემგზავრნენ კინოქრონიკის რეჟისორი ი. კანდელაკი და ოპერატორები ო. მაგაკიანი და სემიონოვი. მათ გადაიღეს ამ საჩუქრების დამზადება საქართველოს მშრომელების მიერ, ფრონტზე ჩატანა და წითელი არმიის მებრძოლთათვის გადაცემა. დელეგაციის ერთი ნაწილი გაემგზავრა წინა პოზიციებზე, სადაც მათ ინახულეს ბრძოლის ველი, ჩვენი დივიზიის ნადავლი და ტყვე რუმინელები. კინორეჟისორი კანდელაკი და ოპერატორი მაგაკიანი შეტევაზე გადასულ წითელარმიელთა დანაყოფებთან ერთად გაემართნენ ბრძოლის ველზე და გადაიღეს ბრძოლის მომენტები. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სამხრეთის ფრონტის ამ უბანზე გადაღებულ იქნა წითელი არმიის შეტევის მომენტები.

ამხ. ი. კანდელაკის და ო. მაგაკიანის კინონარკვევი ყირიმის ფრონტიდან ნაჩვენები იქნება ეკრანზე ამ თვის ბოლო რიცხვებში.

აბო. ზარდიაშვილი

„ფაშისტთა ბარბაროსობისაგან ბავშვების დასაცავად"

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამოფენა კავშირთა სახლში

29 მარტს კავშირთა სახლში იხსნება დიდი გამოფენა „ფაშისტთა ბარბაროსობისაგან ბავშვთა დასაცავად", რომელსაც საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი აწყობს.

გამოფენის პირველ ნაწილში ნაჩვენებია საბჭოთა ბავშვების ბედნიერი ბავშვობა. მათ ჩვენს ქვეყანაში ყურადღებითა და სიყვარულით ეკიდებიან. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია იმ ბავშვთა მხიარული სახეები, რომელნიც იზრდებიან ბაგებში, საბავშვო ბაღებში, მოედნებზე, რომელნიც სანატორიუმებში ისვენებენ, სკოლების საუცხოო ლაბორატორიებში მეცადინეობენ და სხვ.

გამოფენის მეორე ნაწილში თვალწინ იშლება შემაძრწუნებელი სურათი ფაშისტთა მხეცობისა, ძარცვისა და ძალადობისა. ჰიტლერელები ბავშვებს არ ინდობენ.

ერთ-ერთ სტენდზე ნაჩვენებია გერმანელთა მიერ დანგრეული სკოლები, მუზეუმები, განადგურებული ბიბლიოთეკები.

შემდეგ მოსდევს შემაძრწუნებელი დოკუმენტები. აქ ფოტოსურათებზე გადაღებულია: ყმაწვილი ვიტია ჩერევიჩნი, რომელიც დონის როსტოვში დახვრიტეს იმისათვის, რომ არ უნდოდა თავისი მტრედები მიეცა გერმანელებისათვის, 245 ბავშვი, რომლებიც ფაშისტებმა დახვრიტეს ქერჩში, მოტირალი ბავშვები წამებით დახოცილ დედ-მამის ცხედრებთან.

საბჭოთა ხალხი დედობრივი მზრუნველობით ეკიდება გაუბედურებულ და დაობლებულ ბავშვებს, თავისი სიყვარულით ათბობს მათ. დიდი სტენდი მიძღვნილია ქარხანა „კრასნი ბოგატირის" პატრიოტ მუშა ქალებისადმი, რომლებმაც თავის ოჯახებში წაიყვანეს ბავშვები, რომელთაც მშობლები დაჰკარგვეს. (საქდესი).

ახალი წიგნები

სანდრო ეული—„არასდროს!"

„ფედერაციამ" გამოსცა პოეტ სანდრო ეულის ლექსებისა და სატირების წიგნი „არასდროს!" წიგნში შეტანილია პოეტის მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილი 9 ლექსი და 13 სატირული ნაწარმოები. წიგნი შეიცავს 62 გვერდს, გამოცემულია ლამაზად და ღირს 4 მ. 05 კ.

„ინგლისელი პოეტები"

გამოვიდა და იყიდება წიგნი „ინგლისელი პოეტები", თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა. წიგნში შეტანილია ინგლისური პოეზიის რამდენიმე ნიმუში მეათე საუკუნიდან დღემდე. „ინგლისელი პოეტები" შეიცავს 77 გვერდს, დართული აქვს შენიშვნები და გამოცემულია ლამაზად. ფასი 6 მ. 20 კ.

მწერალ ივანე ალექსის-ძე ნოვიკოვის საღამო

შაბათს, 28 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართება ორდენოსანი რუსი მწერლის ივანე ალექსის-ძე ნოვიკოვის შემოქმედების საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ლეო ქიაჩელი. მოხსენებას ივანე ნოვიკოვის შემოქმედებაზე გააკეთებს როდიონ ქორქია. სიტყვებით გამოვლენ პროფესორები: ს. დანელია, კ. კაპანელი; მწერლები: გ. ვერესაევი, კონსტ. ჭიჭინაძე, გალაკ. გორგაძე, პლ. კეშელავა.

ი. ნოვიკოვი წაიკითხავს საკუთარ ნაწარმოებებს.

შესვლა თავისუფალია.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

28 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში (კეცხოველის, 11) ამხ. დ. დონდუა წაიკითხავს მოხსენებას ქართულ ენაზე. თემა: „სამხედრო გეოგრაფია და მისი ელემენტები სასკოლო გეოგრაფიის კურსში".

დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

სახ. ოპერა — 28 მარტს — „ფაუსტი", **რუსთაველის სახელობის** — 28 მარტს „დავა", 29 მარტს — „ოტელო", 29 მარტს დღისით „დავა". **მარჯანიშვილის სახელობის** — 28 მარტს — „მეფე ერეკლე", 29 მარტს — „მარგარიტა გოტიე", 29 მარტს დღისით — „ბედნიერება". **მუსიკალური კომედიის**—28 მარტს—„ცისფერი კლდეები", 29 მარტს — „როზ-მარი". **სანკულტურის** — 28 მარტს — „გაგრძელება იქნება", 29 მარტს „აჯილლა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 28 და 29 მარტს — „რომეო და ჯულიეტა" (პრემიერა).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„სიმღერა სიყვარულზე", **ოქტომბერი**—„დიდი ვალსი", **კომკავშირელი**—„წმინდა იორგენის დღესასწაული", **სპარტაკი**—„საბრძოლო კინოკრებული № 3 და 4", **ლუქსემბურგის სახ.**—„საბრძოლო კინოკრებული № 1 და 2", **26 კომ. სახ.** და **კომინტერნი** — გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი
(ლენინის ქ. № 3) 1941-42 წლის სეზონი

28 და 29 მარტს — პრემიერა

უ. შექსპირი **რომეო და ჯულიეტა**

4 მოქმედ. 20 სურათად. თარგმანი ინგლისურიდან ს. წერეთლისა.

დადგმა რესპ. დამსახ. არტისტ ალ. თაყაიშვილისა, მხატვარი ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი ო. ბარამიშვილი, ქორეოგრაფი ი. ლინევიჩი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სალარო ღიაა დღის 11-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

მოსწავლეები მე-7 კლასამდე არ დაიშვებიან.

თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი იუწყება სამშენებლო ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტ [illegible]

თბილისის რაიმიწგანი იუწყება, რომ კვირას 29 მარტს დღის ორ საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია კონსტანტინე ავქსენტის-ძე მირცხულავას [illegible]

[illegible]